დამტკიცებულია
კოლეჯის დირექტორის
2026 წლის 13 მარტის №06 ბრძანებით

შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი არეგულირებს შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის (შემდგომში - კოლეჯი) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს კოლეჯში.

თავი I. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები

1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. პირი, რომელსაც აქვს:

- საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაიშვება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება

პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 4. დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, დაწესებულება, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.

2. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განაწილება კოლეჯსა და რეგიონალურ ჰიბრიდულ სასწავლო ცენტრებზე.

4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ მე-8 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მე-9 მუხლის მე-20 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეიტინგული სიების დაწესებულებისთვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, დაწესებულება უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 5. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.

2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

4. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა.

5. აპლიკანტი რეგისტრირდება კოლეჯის მიერ გამოცხადებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

6. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
7. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.
8. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში.
9. მართვის სისტემა უფლებამოსილია აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნებისთვის, რეგისტრაციის პროცესში პირის ვერიფიკაცია განახორციელოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემებით.
10. მართვის სისტემა აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე, აპლიკანტის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციას, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაცვის მიზნით, ამოწმებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში, აპლიკანტის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში.
11. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.
12. აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი) იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

მუხლი 6. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას. კოლეჯში შერჩევის მეთოდებად გამოიყენება მოტივაციური გასაუბრება ან/და ტესტირება, გარდა უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელზე შერჩევის სპეციფიკა განსაზღვრულია ამ წესის მე-8 მუხლით.
2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

მუხლი 7. შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:
ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
ვ) საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
2. თითოეულ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შეფასება უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში. დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

3. დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ფორმით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესარჩევი და აპელაციის კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.

5. დაწესებულება მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

6. შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

7. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.

9. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

11. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

12. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

ა) დაწესებულებისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

13. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

მუხლი 8. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომ -

ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.
2. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად შეფასება შესაძლოა განხორციელდეს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით და დაწესებულება უფლებამოსილია შერჩევის ძირითად მეთოდად ანკეტა-კითხვარის შევსების ეტაპზე, ამ პროგრამებისთვის, განსაზღვროს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება.
3. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. დაწესებულება უფლებამოსილია ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შეფასების გარდა, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შერჩევის დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:
ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითოეულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთან, შეფასება უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ შერჩევის პერიოდში. დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
6. დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმით.
7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.
8. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაწესებულების შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
9. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.
10. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-8 ან მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
11. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დაწესებულება უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე.
12. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საბოლოო შედეგის გაანგარიშების მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების

შედეგების განთავსებას ერთიან სკალაზე, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მეთოდით. თითოეული შეფასების შედეგის ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.

13. იმ საშუალო პროფესიულ პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

14. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

15. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

16. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

17. იმ შემთხვევაში, თუ რეიტინგული სიის შედგენისას აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

18. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

19. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

ა) დაწესებულებისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ წესის მე-4 მუხლის მე-4პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 9. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომ – რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამა) აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;

გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;

დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;

ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
2. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში. დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
3. დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმით.
4. შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის თანაგანმახორციელებელი და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების მონაწილეობას.
5. დაწესებულება, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
6. შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
7. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.
8. დაწესებულება რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
9. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
11. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ პროგრამებზე, რომელთა განხორციელების ერთადერთ შესაძლებლობად საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტის მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ამ შემთხვევაში, შერჩევა ხორციელდება შესაბამისი სახის პროგრამისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 10. ტესტირებაში მონაწილეობის უფლება და ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები

1. ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი.
2. ტესტირების კოორდინაციას და ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში საგამოცდო ცენტრების მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო.
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში.

მუხლი 11. შედეგები

1. დაწესებულება, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით შერჩევისთვის განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროგრამა აქვს არჩეული, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების მე-8 მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“, მე-9 მუხლის მე-20 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისიწინებული ვადის ამოწურვიდან მომდევნო სამუშაო დღეს მართვის სისტემა უზრუნველყოფს:

ა) დაწესებულებისთვის აპლიკანტთა საბოლოო არჩევანის გათვალისწინებით რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულისა და მისი საბოლოო არჩევანის გათვალისწინებით.

მუხლი 12. დაწესებულებაში ჩარიცხვა

1. დაწესებულება ვალდებულია აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

2. აპლიკანტმა, დაწესებულებაში ჩასარიცხად უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება დირექტორის სახელზე;

ბ) ერთი ცალი ფოტოსურათი 3x4;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პასპორტი/პირადობის მოწმობა (არასრულწლოვნის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის პირადობის მოწმობა).

ე) არარსრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში, მისი დაბადების მოწმობის ასლი ან ის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა.

ვ) 17 წელს მიღწეულ პირთათვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი. საქართველოს კანონის თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად (სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებული ღონისძიებები).

3. დოკუმენტების წარდგენის ვადები განისაზღვრება ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას მატერიალურისახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტი/კანონიერი წარმომადგენილი ობიექტურიმიზეზის გამო (ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო) ვერ ახერხებს ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მატერიალურად წარმოდგენას. ამ შემთხვევაში დოკუმენტაცია ელექტრონული სახით გადმოგზავნილ უნდა იქნას კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: iapacademy9@gmai.com

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა არის აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.
6. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისადა ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
7. დაწესებულება უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.
8. აპლიკანტი, ამ წესის მე-11 მუხლი მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდგომ, დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.
9. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
   ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე დაწესებულების მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
   ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში.
10. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილებისშეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
11. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანიაპლიკანტების ჩასარიცხად.
12. თუ ამ მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.
13. დაწესებულება ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დაწესებულების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მითითებით ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.
14. დაწესებულება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან, მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან.
15. ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს/მხარდამჭერს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 13. ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვაისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
4. მართვის სისტემა, აპლიკანტთა შესაბამისი სტატუსების შესახებ ინფორმაციას, რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოითხოვს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
6. დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შერჩევის წესისა და პირობებით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა
1. ყველა პირისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, ეს თავი განსაზღვრავს პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ჩარიცხვის წესს.
2. ყველა პროგრამა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
3. პირს, რომელსაც მულტიდისციპილინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ

პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

4. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გადის ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შერჩევას.

5. დაწესებულება განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

6. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, დაწესებულებას უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, დაწესებულება გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს ინფრომაციას მათთვის ჩარიცხვის უფლების მინიჭების შესახებ და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.

8. დაწესებულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს.

9. დაწესებულება, ამ მუხლის მერვე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

10. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს დაწესებულება, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 15. შესარჩევი და სააპელაციო კომისიები

1. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

ა. ადმინისტრაციის თანამშრომელი

ბ. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

გ. პროფესიული მასწავლებელი-დარგის სპეციალისტი

2. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.

3. კონკურსის შედეგები აისახება პლიკანტთა შეფასების ფორმაში და შესარჩევის სხდომის ოქმში.

4. კომისია უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისას.

5. კონკურსის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, არაუგვაინეს გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღისა.

6. სააპელაციო კომისიაში შემადგენლობაში დაუშვებელია შედიოდეს ის წევრი, ვინც მონაწილოებდა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების მიღებაში.
7. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება:
ა. შესარჩევი და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი
ბ. აპელაციის წესი და ვადები
გ. საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები.

თავი II. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება,

აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;
ბ) ორსულობა, მშობიარობა;
გ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.
ე) სამხედრო სამსახურში გაწვევა;
ვ) მეცადინეობების არასაპატიო მიზეზით პროგრამით განსაზღვრული საკონტაქტო საათების 1/3-ის ოდენობით გაცდენა;
ზ) კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 15 აპრილის №6 ბრძანებით დამტკიცებული შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის“ მე-12 მუხლით განსაზღვრულ სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლისას საწარმოსთან შესაბამისი ხელშეკრულების გაუფორმებლობა.
თ) კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 15 აპრილის N6 ბრძანებით დამტკიცებული შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა დაკვალიფიკაციის მინიჭების წესის“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევა, როცა პროფესიულმა სტუდენტმა ვერ დაიდასტურა ის მოდული, რომელიც წარმოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე გასავლელი რომელიმე მოდულის წინაპირობას;
ი) პროფესიული სტუდენტის განცხადება საკვალიფიკაციო გამოცდის გადადების შესახებ, საპატიო და დასაბუთებული მიზეზის არსებობის პირობებში;
კ) ქართული ენის მოდულის დასრულება, სანამ მოხდება პროფესიული სტუდენტის შესაბამის სასწავლო პროცესში ჩართვა.
ლ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე გადასვლა, იმ დუალური მიდგომით განხორციელებული საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტისათვის, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, სრულწლოვანების მიღწევამდე.
მ) სხვა არსებითი გარემოება.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას პროფესიული სტუდენტი/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია წერილობითი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) მიმართოს კოლეჯის დირექტორს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება კონკრეტული ვადით.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 (ხუთი) წელი.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მის მიერ დაგროვილი გაცდენილი დღეების გამო მოსალოდნელი შედეგების შესახებ.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით.
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან რა ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
7.პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ წერილობით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.
8.პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით.
9. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად.

მუხლი 18 . პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
ბ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;
გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა, თუ არ მოხდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა.
დ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;
ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 30 პროცენტზე მეტის გაცდენა;
ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადაში ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის ვერ წარმოდგენა
ვ) საკვალიფიკაციო გამოცდის არ/ვერ ჩაბარება, კოლეჯის მიერ დადგენილი წესით, დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში;
ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - გარიცხვის გამოყენება;
ზ) გარდაცვალება;
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით, უფლებამოსილი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (გარდა ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა), რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.
3. თვითდაფინანსების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა პროფესიული სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური

დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი III. მობილობა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 19. მობილობა

1. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას და მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. კოლეჯის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს წინადადებას მობილობითპროფესიული სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება. პროფესიული სტუდენტების მიღებისათვის თავისუფალი ადგილების რაოდენობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
3.მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის დროისათვის წარმოადგენს კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს. ასევე პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი კოლეჯში მიმართავს განცხადებით მობილობის მსურველად რეგისტრაციის თაობაზე. კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
5. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
6. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
8. მობილობის უფლებით პროფესიული სტუდენტი ისარგებლებს მხოლოდ იმ პროგრამის ფარგლებში, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
9. ერთი და იმავე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით

ადრე.
10. სხვადასხვა ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.
11. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:
ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა პროფესიულ სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;
ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
გ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
12. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი. აღიარება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – კოლეჯის სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
13. კოლეჯი, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 20. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
3. პროგრამებზე კოლეჯისათვის ფინანსურად და სწავლის ორგანიზებისათვის სწავლის მსურველთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, მათთან ერთად განიხილება მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, განისაზღვრება განსხვავებულ დისციპლინათა სწავლებისა და ცოდნის, უნარ-ჩვევების შეძენის ვადები, რაც ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

თავი IV. ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება

მუხლი 21. ფორმალური განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს დაწესებულება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა“ და წინმდებარე წესის შესაბამისად.

2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

2.1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

2.2. მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. თუ პირის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.

4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან.

5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

5.1. დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;

5.2. კომისიის შექმნა დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე;

5.3. კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

5.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

5.5. დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობას შემდეგნაირად:

6.1. წინამდებარე წესი განთავსებულია საჯაროდ, დაწესებულების ვებ-გვერდზე;

6.2. პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე მას დაწვრილებით განემარტება ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობები, აღნიშნულის საფუძვლები და შესაბამისი პროცედურები და წესები.

7. განმცხადებლის მიერ დაწესებულებისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

7.1. დაწესებულების დასახელებას;

7.2. განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

7.3. განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

7.4. განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

7.5. განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

7.6. მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

7.7. განმცხადებლის ხელმოწერას;

7.8. განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.
8. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთვოდეს:
8.1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
8.2. თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
8.3. ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
9. წინამდებარე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთვოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
10. დაწესებულების სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას წინამდებარე მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი დაწესებულებას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დაწესებულება განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება ახდენს განმცხადებლის ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
11. დაწესებულების მიერ წინამდებარე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.
12. თუ დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
13. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წინამდებარე მუხლის 5.2. პუნქტის საფუძველზე შექმნილი კომისია (შემდგომში - კომისია) უზრუნველყოფს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
14. კომისია შედგება 3 წევრისგან. კომისიის შემადგენლობაში შედის:
14.1.კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;
14.2.შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი;
14.3.კოლეჯის იურისტი.
15. კოლეჯს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
16. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
17. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

18. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
19. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
20. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
21. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.
22. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
22.1.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
22.2.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
23. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
24. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
25. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულების დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
25.1.დაწესებულების დასახელება;
25.2. განმცხადებლის ვინაობა;
25.3.იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
25.4.აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
25.5.გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;,
25.6.გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.,
26. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
27. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისმწარმოებელი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა

აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის წარმოების მენეჯერი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

28. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი, დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებელის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის საჩივარზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

29. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების რეესტრის წარმოების სპეციალისტის მიერ.

30. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

31. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

32. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 22. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანი და დაშვების წინაპირობა

1. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის.

2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ინსტრუმენტია კონკრეტული პროფესიული სტანდარტი. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ავტონომიურობის შემოწმება.

3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად (შემდგომში - მაძიებელი) დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს პროფესიული განათლების მიღებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

მუხლი 23. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი

1. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) გაცხადების წარდგენა;

ბ) კონსულტირება/დოკუმენტირება;

გ) შეფასება;

დ) გადაწყვეტილების მიღება.

2. კომისიის გადაწყვეტილებით შეფასების ეტაპი შესაძლოა მოიცავდეს გამოცდას.

3. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯი უფლებამოსილია, ამ წესისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის“ დანართი №1-ით გათვალისწინებული განაცხადისა და დანართი №2-ით განსაზღვრული მაძიებლის კონსულტირების ფორმის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნას აღიარების კომისია.

4. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს არაფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის, ამ წესისა სხვა სამართლებრივი აქტების დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

5. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით მაძიებელი მიმართავს კოლეჯს შესაბამისი კვალიფიკაციისა და დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში:

ა) აღიარების მოთხოვნის შესახებ განაცხადის საფუძველზე, აღიარების მსურველი ხვდება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ კონსულტაციის გაწევაზე პასუხისმგებელ პირს (შემდგომში - კონსულტანტი), რომელიც კონსულტაციას უწევს პირს არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ;

ბ) არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით კონსულტანტი უზრუნველყოფს:

ბ.ა) პირის ინფორმირებას არაფორმალური განათლების, მისი აღიარების მიზნებისა და შედეგების შესახებ;

ბ.ბ) პირს აწვდის ინფორმაციას არაფორმალური განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, პროცედურების, ეტაპების, მოსალოდნელი შედეგებისა და
ასევე დაწესებული საფასურის შესახებ;

ბ.გ) უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას მისთვის სასურველი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცონდნის, უნარებისა და ავტონომიურობის ფლობის
შესახებ;

ბ.დ) ეხმარება პირს მაძიებლის კონსულტირების ფორმის მეშვეობით განსაზღვროს არაფორმალურად შეძენილი პროფესიული კომპეტენციები და არსებობის შემთხვევაში დაადასტუროს ისინი შესაბამისი დოკუმენტაციით;

ბ.ე) პირს განუმარტავს არაფორმალური განათლების აღიარების ეტაპებს;

ბ.ვ) შუამდგომლობს შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან არაფორმალური განათლების აღიარებისათვის პირისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

მუხლი 24. წარსადგენი დოკუმენტაცია და განცხადების განხილვის პროცედურები

1. კოლეჯში არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით განცხადების წარმოდგენის ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით

დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარების შესახებ, არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის მოთხოვნას, მისი დასაქმების/განათლების სფეროს, არაფორმალური განათლების აღიარების მიზანს;
ბ) საბაზო საფეხურის ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - აღნიშნული დოკუმენტის აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას, გაცემულს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, დადგენილი წესით.
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (არსებობის შემთხვევაში, არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლი, სამუშაოს აღწერილობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან, სერტიფიკატი და ა.შ.);
ე) აღიარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
2. მაძიებლის კონსულტირების ფორმა პირს საშუალებას აძლევს, აღწეროს საკუთარი პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობა კონკრეტული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებთან და ავტონომიურობასთან. მაძიებლის კონსულტირების ფორმაში პირი მიუთითებს, თუ კონკრეტული პროფესიული სტანდარტის რომელი დონით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებთან და ღირებულებებთან სურს საკუთარი არაფორმალური პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობის დადასტურება.
3. კოლეჯი უფლებამოსილია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.
4. კონსულტირების შედეგად, კონსულტანტი ავსებს კონსულტირების ფორმას და მასთან ერთად კომისიის წინაშე წარადგენს ინფორმაციას მაძიებლისა და მის მიერწარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ.
5. კონსულტირების ფორმის შევსებისას, კონსულტირების ეტაპზე კონსულტანტი განხილული თემებისა და შესაბამისი აქტივობების შესახებ მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ახდენს მაძიებლის გამოცდილების იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც იგი ადგენს არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული, თუ რომელი სწავლის შედეგ(ებ)ია იდენტიფიცირებული.
6. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების იდენტიფიცირების შედეგად, კონსულტანტი მიუთითებს: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ის დასახელება, არაფორმალურ გარემოში მიღწეული სწავლის შედეგი, მაძიებლის მიერ აღწერილი შესრულების კრიტერიუმი, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მითითებულ გარემოებებს.

მუხლი 25. კომისიის შექმნა და საქმიანობის წესი

1. კოლეჯის დირექტორი ამ წესის მე-24 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის მიერ წარდგენილი პორტფოლიოს საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობის ან მაძიებლად

ცნობაზე უარის თქმის შესახებ და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით, ბრძანებით ქმნის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით:
ა) შესაბამისი სფეროს სპეციალისტი – დამსაქმებლების ან/და დამსაქმებელთა/დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენელი;
ბ) შესაბამისი სფეროს პროფესიული განათლების მასწავლებელი;
გ) დაწესებულების წარმომადგენელი;
დ) საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია კომისიის შემადგენლობაში განსაზღვროს დამატებით სხვა პირ(ებ)ი.
2. კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის წევრები.
3. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან

მუხლი 26. გადაწყვეტილების მიღება გამოცდის ჩატარების შესახებ
1. შეფასების ეტაპზე კომისია შეისწავლის მაძიებლის მიერ წარდგენილ კონსულტირების ფორმას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობას.
2. კომისია უფლებამოსილია, მაძიებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა და/ან მიიღოს გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების (მათ შორის, სამუშაო ადგილზე დაკვირვების/გამოცდის) და/ან სხვა ტიპის შეფასების) შესახებ. ასევე, კონსულტანტისგან გამოითხოვოს მაძიებლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია. გამოცდა მოდულის/სწავლის შედეგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ფორმატით: წერილობით, ზეპირი ან/და პრაქტიკული დავალების შესრულებით. მაძიებლის პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა/შეფასება ტარდება საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და დამსაქმებლის ბაზაზე.
3. გამოცდა ინიშნება აღიარების შესახებ განცხადების დასაშვებიდან ცნობიდან არაუგვიანეს 2 კვირისა. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების ან/და სხვა ტიპის შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად, კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს შეფასების ან/და გამოცდის ჩატარების ორგანიზების საკითხები ან/და შექმნას საგამოცდო კომისია ან/და განსაზღვროს შეფასების პროცესში/გამოცდაზე ჩასართავი პირი/პირები.
4. გამოცდას ატარებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ

შექმნილი კომისია.
5. გამოცდაზე კომპეტენციების შემოწმება შესაძლოა განისაზღვროს შესაბამისი დონის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.
6. ინფორმაცია შესამოწმებელი კომპეტენციების შესახებ, გამოცდის ადგილი, თარიღი და დრო არაფორმალური აღიარების მაძიებელს ეცნობება გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 კალენდარული დღით ადრე.
7. არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის მიერ გამოცდის შედეგები ფორმდება ოქმით, სადაც მიეთითება არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში - მითითება იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ დონეს, მოდულს ან სწავლის შედეგს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში - მითითება შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ და შესაბამისი დასაბუთება.
8. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის წარმართვისათვის სავალდებულოა საგამოცდო კომისიის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდის მეთოდების მოდიფიცირებას მაძიებლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
9. საგამოცდო კომისია შედგება მასწავლებლებისგან და შესაბამისი სფეროს დამსაქმებლის წარმომადგენლებისაგან. საგამოცდო კომისიის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს კონსულტანტმა, საგამოცდო კომისიის თანხმობის საფუძველზე.
10. მაძიებლისთვის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში კომისია განიხილავს საგამოცდო კომისიის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგებს.
11. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით განმეორებითი გამოცდა არ ინიშნება.

მუხლი 27. გადაწყვეტილების მიღება
1. არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან/და მოდულში განსაზღვრული სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების და დადასტურების გზით და კომისია იღებს შემდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
ა) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ;
ბ) არაფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების შესახებ;
გ) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა:
ა) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა;
ბ) არაფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები ვერ დაადასტურა პირმა, შესაბამისი დასაბუთებით;
გ) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები ვერ დაადასტურა პირმა შესაბამისი დასაბუთებით.
3. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ 5 დღის ვადაში გამოიცემა ბრძანება აღიარების დადასტურებაზე, ნაწილობრივ აღიარებაზე ან აღიარებაზე

უარის თქმის შესახებ.
4. არაფორმალური განათლების აღიარების დადასტურების შესახებ ბრძანების საფუძველზე დაწესებულების მიერ, მაძიებლის სახელზე გაიცემა:
ა) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში – სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;
ბ) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ვერდადასტურების შემთხვევაში – ცნობა დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;
გ) მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში დაწესებულება გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.
5. მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების ნაწილობრივ დადასტურების შემთხვევაში, დაწესებულება არ გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
6. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.
7. კოლეჯი ვალდებულია გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს მაძიებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
8. მაძიებლის არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის არაფორმალური განათლების აღიარების მართვის ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – ელექტრონული სისტემა).

თავი V. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინკლუზიური განათლება

მუხლი 28. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:
ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;
ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;
გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების სხვა დადასტურების შემთხვევები;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ჩართულობით, რომელსაც წარუდგენენ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას,

სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. რის საფუძველზეც, ინდივიდუალური სიტუაციიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით. შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა 5 სამუშაო დღის ვადაში წარედგინება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში, დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

5. ინდივიდუალური საჭიროებებისათვის ან მცირერიცხოვანი ჯგუფების შემთხვევაში, როცა პროფესიულ სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში ნაკლებია რენტაბელობის ზღვარზე, შესაძლებელია ჯგუფების გაერთიანება ერთი და იმავე სარეგისტრაციო ნომრის მქონე მოდულების გავლის მიზნით, თუმცა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გაერთიანებულ ჯგუფში არ უნდა აღემატებოდეს 15-ს და აცდენა მოდულის დაწყების ვადაში არ უნდა აღემატებოდეს 2 კვირას. გაცდენილი დროის კომპენსირება მოხდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური კონსულტირების გზით.

6. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

7. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი/კანონიერი წარმომადგენელი არ ეთანხმება ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია დაასაბუთოს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის უარის თქმის საფუძველი.

8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის/კანონიერი წარმომადგენლის მიერდაფიქსირებული ზოგადი ხასიათის უარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული დასაბუთებული პოზიცია, კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განმეორებით შედგენაზე.

9. პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან და განაცხადებენ აღნიშნულის შესახებ, შესაძლებელია დამსაქმებლისგან წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯმა შეიმუშავოს ინდივიდუალურ ჯგუფურ სასწავლო ცხრილი/4 საკონტაქტო საათების 3 დღეზე, მათ შორის 2/3 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

მუხლი 29. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და

ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

1. კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

3. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

5. მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტ(ებ)ის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის და სხვა საჭიროებების შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება. გაცდენები,შეფასებები, დახასიათება და ა.შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;

გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.
10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის კოლეჯი უზრუნველყოფს როგორც სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის, ასევე, სასწავლო რესურსების ადაპტირების გზით, საჭიროების შემთხვევაში.
11. ადაპტირებული სასწავლო რესურსების (არსებობის შემთხვევაში) რეესტრის წარმოებას და ზედამხედველობას ახდენს კოლეჯის ბიბლიოთეკარი.

თავი VI. სასწავლო პროცესი

მუხლი 30. სასწავლო პროცესის წარმართვა

1. კოლეჯის დირექტორის მიერ ჩარიცხვის ბრძანების საფუძველზე კოლეჯის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი აკომპლექტებს ჯგუფებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, დადგენილი რენტაბელობის მაჩვენებლის დაცვის პირობით, რომელთათვისაც დგება სასწავლო ცხრილები.
2. პროფესიულ სტუდენტთა ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდეგ, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვებს, რომლის შესაბამისადაც, პროფესიული განათლების მასწავლების კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, საიდანაც არანაკლებ სამი საათი ეთმობა შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტაციას, მათთვის შეფასებების გაცნობასა და ინდივიდუალური რეკომენდაციების გაცემისა და სასწავლო პროცესის სხვა თანმხლებ პროცედურებს.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა კოლეჯის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტებს ვალიდაციისათვის.
4. კოლეჯში სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს ფორმირებაზე, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სტატუსის ცვლილებასთან (შეჩერება/აღდგენა) დაკავშირებული დოკუმენტაცია, მოდულების შედეგების დადასტურების მტკიცებულებები, შუალედურ (არსებობის შემთხვევაში) და საკვალიფიკაციო (დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) გამოცდებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის დღიური (დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში).
5. შეფასების უწყისის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერისათვის ჩაბარებას უზრუნველყოფს მოდულის განმახორციელებელი პროფესიულიგანათლების მასწავლებელი.
6. შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შუალედური გამოცდის ორგანიზებას ახდენს კოლეჯის სასწავლო პროცესისა დაპრაქტიკის სამსახური. სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერის სამსახურებივი ბარათის გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორი ბრძანებით ახდენს პროფესიულ სტუდენტთა დაშვებას შუალედურ გამოცდაზე. შუალედური გამოცდის ჩატარების შემდეგ, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი სამსახურებრივი ბარათით აცნობებს დირექტორს გამოცდის შედეგების შესახებ, ხოლო საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი ორგანიზებას უწევს პროფესიულ სტუდენტთა განაწილებას პარტნიორი

ორგანიზაციის ობიექტზე და მათთან ხელშეკრულებების გაფორმებას.
7. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით.
8. პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენების დრო განისაზღვრება სასწავლო ცხრილების შესაბამისად. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით ყოველკვირეულად სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერის პასუხისმგებლობით და განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
9. ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგრძლივობა შეადგენს ერთ აკადემიურ საათს (45წთ), ხოლო მათ შორის შესვენება შეადგენს 15წთ-ს.
10. პროფესიულ სტუდენტთა თითოეული ჯგუფისთვის წარმოებს სწავლის შედეგების დადასტურების ჟურნალი, რომელიც ინახება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან.

მუხლი 30[1]. სასწავლო პროცესის წარმართვა დისტანციურად/შერეული ფორმით განხორციელებისას

1. დისტანციური სწავლების პროცესი ხორციელდება სასწავლო განრიგით (ცხრილით) გათვალისწინებული დროის, ხანგრძლივობისა და კალენდარული გეგმის შესაბამისად. პროცესის ორგანიზებასა და მხარდაჭერას ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაცია.
2. დისტანციური სწავლების შემთხვევაში ერთი სალექციო/შეფასების საათი მოიცავს 45 წუთს.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები დისტანციური სწავლების პროცესში ერთვებიან ელექტრონული სასწავლო პლატფორმის მეშვეობით, რომლითაც უზრუნველყოფილია სალექციო პროცესის ჩაწერა და შენახვა.
4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული/გამოქვეყნებული სასწავლო განრიგის (ცხრილის) შესაბამისად ადეკვატური გარემოდან და ხელი შეუწყოს სალექციო პროცესის ნორმალურ ჩატარებას.
5. პროფესიული სტუდენტი ონლაინ სივრცეში შემოსვლით და ჩართულობით ადასტურებს სასწავლო პროცესზე დასწრებას/მონაწილეობას.
6. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ჩართოს ან/და გამორთოს ვიდეო და აუდიო რეჟიმი, გააზიაროს სამუშაო ეკრანი, ასევე ელექტრონულ პლატფორმაზე შემოსვლისას პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების მიზნით დაფიქსირდეს სახელითა და გვარით.
7. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩართვის შერჩეულ სისტემაში დაფიქსირდეს კოლეჯის ელექტრონული ფოსტის გამოყენებით და არ დაუშვას ჩართვაში უცხო პირთა მონაწილეობა.
8. სსსმ პროფესიული სტუდენტების დისტანციურ ლექციებზე დასწრებას მონიტორინგს უწევს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. აღნიშნული მონიტორინგის ტექნიკურ შესაძლებლობას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელი შეხვედრის ბმულისა და შეხვედრაზე შესვლისთვის საჭირო მონაცემების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიწოდების გზით.
9. სსსმ პროფესიული სტუდენტის ასისტირებას დავალების შესრულების პროცესში (საჭიროების შემთხვევაში) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი/შესაბამისი პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს პერსონალური კომპიუტერის სამუშაო მაგიდის გაზიარების ფუნქციის მქონე კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით (Team Viewer, Any Desk, ან სხვა).
10. სსსმ პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული დავალებების მონიტორინგს

უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის უკუკავშირზე დაყრდნობით. პროფესიული სტუდენტი/მოდულის განამხორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს შესრულებული დავალების მიწოდებას/გაგზავნას სპეციალისტთან, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აწარმოოს თითოეული პროფესიული სტუდენტის დავალებების პორტფოლიო.

11. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შერჩეულ ელექტრონულ პლატფორმაზე დარეგისტრირდეს, შექმნას საკუთარი ანგარიში
და უზრუნველყოს ყველა პროფესიული სტუდენტისათვის დადგენილი სასწავლო განრიგის (ცხრილის) მიხედვით შესაბამისი ჩართვის/სასწავლო
კვირის ლინკის მიწოდება.

12. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დისტანციური ჩართვა განახორციელოს შესაბამისი (ადეკვატური) გარემოდან.

13. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს საკონტაქტო/შეფასების საათების ჩატარების ვიდეო ჩანაწერი და
მიაწოდოს სასწავლო პროცესის მენეჯერს/სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს მოთხოვნიდან გონივრულ ვადებში შესაბამისი
მტკიცებულებების მოპოვებისა და განკარგვის მიზნით.

14. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგში ჩართულ პირებს დაკისრებული მოვალეობის
შესრულებაში.

15. ყოველი ლექციის დაწყებისთანავე შეავსოს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ჟურნალი ელექტრონული ფორმით.

16. დროულად მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს შესასრულებელი დავალებების/აქტივობების ვადები და გასწორებული
დავალებები/ნამუშევრები.

17. პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტი ვალდებულნი არიან დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და კიბერუსაფრთხოების წესები. არ გააზიარონ ლექციის ვიდეოჩანაწერები, ბმულები, ID, პაროლები სოციალური მედიის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

18. წინამდებარე მუხლი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ შემთხვევებში.

მუხლი 31. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1.პროფესიული განათლების მასწავლებელი – პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში (გარდა პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამისა). პროფესიული განათლების მასწავლებლის სახეებია ძირითადი მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი, ინსტრუქტორი;

ა) ძირითადი მასწავლებელი – პირი, რომელიც აკმაყოფილებს ძირითადი მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პროფესიული განათლების ფარგლებში წარმართავს სასწავლო პროცესს;

ბ) მოწვეული მასწავლებელი – პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოწვეული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, არის შესაბამისი დარგის მოქმედი პრაქტიკოსი (რომელიც არ

მოიცავს სწავლების გამოცდილებას) და პროფესიული განათლების ფარგლებში წარმართავს სასწავლო პროცესს;

გ) ინსტრუქტორი – პროგრამების თანაგანმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც ამავე დაწესებულებაში დუალური ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმართავს სასწავლო პროცესს;

დ) პროგრამა(ებ)ის თანაგანმახორციელებელი დაწესებულება – მეწარმე სუბიექტი/იურიდიული პირი, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ შესაბამისად, ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმით განხორციელებაში;

2.პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოპოვება და შეწყვეტა

ა). პირი, კონკრეტული დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებს პროგრამის განხორციელების შესახებ წინარე ხელშეკრულების, შრომითი ხელშეკრულების, მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების გზით. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში პირს უწყდება ამ დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი.

ბ). დაწესებულება ვალდებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მინიჭების ან შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ამ წესის შესაბამისად ასახოს ელექტრონულ სისტემაში.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ა). პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოპოვებისთვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ბ). პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციისთვის განისაზღვრება ძირითადი, სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

გ). პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციისთვის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ამ წესით.

დ). პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციისთვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება დადგინდეს დარგის/მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულის სტანდარტული ჩანაწერებით.

ე). ძირითადი და მოწვეული მასწავლებლის პოზიციებისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო

მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს დაწესებულების მიერ.

ვ). დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო, ასევე სასურველი.

4.პროფესიული განათლების მასწავლებლის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ა) ძირითად მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება, ან/და პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი არანაკლებ ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ მცირე სამ-წლიანი სამუშაო გამოცდილება.

ბ) მოწვეულ მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება და პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოპოვების დროისთვის უნდა იყოს მოქმედი პრაქტიკოსი შესაბამის დარგში.

გ) ინსტრუქტორად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

დ) განსაზღვრული პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დადასტურების წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ.

ე) იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად კანდიდატი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაწესებულება უფლებამოსილია კანდიდატთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული განათლების მასწავლებლის შესაბამისი სახის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ვ) პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას, შესაძლებელია იყოს როგორც ძირითადი, ისე მოწვეული მასწავლებელი.

5.პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის ფორმები

ა) დაწესებულების მიერ ძირითადი ან მოწვეული მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

ბ) ინსტრუქტორის შერჩევა ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის თანაგანმახორციელებელი დაწესებულების მიერ.

6. პროფესიული განათლების მასწავლებლის მხარდაჭერა

ა) დაწესებულება ვალდებულია განახორციელოს სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ღონისძიებები ყველა იმ პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, რომელიც შესაბამის დაწესებულებაში პირველად იწყებს პროფესიული განათლების ფარგლებში სწავლებას.

მუხლი 37.პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლების პროცესში უნდა იყენებდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომელიც მიმართული უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. საქმიანობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა, უნდა გაითვალისწინოს პროფესიული სტუდენტის შემხვედრი საჭიროებები და მოქნილი რეაგირება მოახდინოს მათზე.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს კალენდარული გეგმა და შეფასების ინსტრუმენტები კოლეჯის მიერ დადგენილი ფორმისა და შინაარსის დაცვით, ხოლო მეცადინეობაზე შესვლამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალები ელექტრონული სახით მათი განახლების საჭიროების შემთხვევაში.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს პროფესიული სტუდენტის დასწრებისა და სწავლის შედეგების დადასტურების ჟურნალი, უზრუნველყოს მეცადინეობების სასწავლო ცხრილით დადგენილი გრაფიკით ხარისხიანი წარმართვა, პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს დამატებითი კონსულტაციები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებით ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციასა და ვერიფიკაციის პროცესებში. 4. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს შეფასების მტკიცებულებები. ხოლო თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს იმ პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებმაც ვერ დაიდასტურეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. განმეორებითი შეფასებისას, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს წარუდგინოს არაუგვიანეს ახალი მოდულის დაწყებამდე 1 დღით ადრე. 5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს პროფესიული სტუდენტებისთვის/არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირების შეფასებების/გამოცდების ორგანიზება/წარმართვაში და კოლეჯის საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
6. აღნიშნული მოვალეობები წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 32. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (შემდგომში - პროგრამის ხელმძღვანელი) შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება (საშუალო ან უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში აკადემიური ან პრაქტიკული მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება.
2. პროგრამის ხელმძღვანელი ინიშნება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მიეთითება მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში.
3. პროგრამის ხელმძღვანელის უნარები და კომპეტენციები უნდა იყოს: პროფესიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, ზეპირად და წერილობით აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბების უნარი, მრავალკომპონენტიანი სამუშაოს კოორდინირების უნარი, მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და სინთეზის უნარი, ეფექტური კომუნიკაციის უნარი, კომპიუტერთან მუშაობის უნარი.

4. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, საქმიანობისას ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შემხვედრ საჭიროებებს და ახდენს მათზე მოქნილ რეაგირებას.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:
5.1. მონაწილეობს პროფესიული პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში;
5.2. წელიწადში ერთხელ (სავალდებულო) და საჭიროების შემთხვევაში (რიგგარეშე) ახდენს პროგრამის რევიზიას და წარმოადგენს დასაბუთებულ მოსაზრებებს მისი მოდიფიცირების საჭიროებისთვის, რაც ეფუძნება კოლეჯში დანერგილ სიახლეებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებას, ახალი სასწავლო მასალების შექმნას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების ანალიზს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების საჭიროებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, კანონმდებლობისა და რეგულაციების ცვლილების ასახვას.
5.3. მონაწილეობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში.
5.4. მონაწილეობს ფორმალური განათლების აღიარების პროცესში.
5.5. მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში.
5.6. მონაწილეობს კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში:
5.6.1. ესწრება მეცადინეობებს კოლეჯსა და კომპანიაში;
5.6.2. მონაწილეობს შევსებული კითხვარების ანალიზის, შეფასების და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში;
5.6.3. წელიწადში ორჯერ ახდენს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშგებას;
5.7. ყოველი ჯგუფის სწავლის დასრულების შემდეგ წარმოადგენს ანგარიშს:
5.7.1. პროგრამის განხორციელებისას მიღწეული შედეგების შესახებ;
5.7.2. პროგრამის განხორციელების ძლიერი მხარეებისა და ნაკლოვანებების შესახებ;
5.7.3. პროგრამის გაუმჯობესებისთვის განსახორციელებელი ქმედებების შესახებ.
5.8. მონაწილეობს პროფესიული სტუდენტის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში, რაც გულისხმობს:
5.8.1. პროგრამაზე კონტინგენტის დაგეგმვაში მონაწილეობას;
5.8.2. სტუდენტებთან გეგმიურ ინდივიდუალურ გასაუბრებებს და მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას;
5.8.3. პორტფოლიოების ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში არაგეგმიურ ინდივიდუალურ გასაუბრებას;
5.8.4. ღია კარის დღეებზე პროფესიის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
5.8.5. რეკრუტირებაში მონაწილეობას;
5.9. მონაწილეობს სასწავლო პროცესის ორგანიზებაში:
5.9.1. ახდენს სასწავლო ცხრილების მონიტორინგს;
5.9.2. მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა/ჩანაცვლების პროცესში, მათი განვითარების საჭიროების დადგენაში;
5.9.3. მონაწილეობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ობიექტების შერჩევაში;
5.9.4. ამოწმებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე შესრულების კრიტერიუმების ვერიფიცირებადი მტკიცებულებების შეგროვების სისწორესა და სისრულეს;
5.9.5. საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს სწავლის შედეგების დადასტურების მონიტორინგის პროცესში.

მუხლი 33. პროფესიული პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ინსტრუქტორის ფუნქცია-მოვალეობები:
1. პროფესიული პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ინსტრუქტორი შეიძლება

იყოს მენტორი ინსტრუქტორი, რომელსაც დამატებით ევალება ინსტრუქტორების ტრენინგი და ინსტრუქტორი, რომელიც უშუალოდ განახორციელებს პროფესიული სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებას.
2. ინსტრუქტორი ეცნობა საგანმანათლებლო პროგრამას, მასზე მიმაგრებული პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ინსტრუქტაჟს, შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალს. თუ მოდულით გათვალისწინებულია ისეთი სამუშაოები, რომელიც არ სრულდება ობიექტზე, ამის შესახებ აცნობებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს.
3. ინსტრუქტორი ყოველდღიურად ახდენს პროფესიული სტუდენტის სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვას, ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარებასა და მათი მოთხოვნების დაცვის პროცესის მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადების შემთხვევაში აცნობებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს.
4. ინსტრუქტორი პროფესიულ სტუდენტს აძლევს დავალებებს, სამუშაოს შესრულების დროს უწევს მეთვალყურეობასა და ინსტრუქტაჟს, სამუშაოების შესრულების დეტალების შესახებ პროფესიულ სტუდენტს ყოველდღიურ ჩანაწერებს უდასტურებს ხელმოწერით;
5. ინსტრუქტორი სამუშაოების მიმდინარეობისას ეტაპობრივად ხელმოწერით ადასტურებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესრულების კრიტერიუმების მიღწევას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ან/და საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორთან შეთანხმებით ნიშნავს სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურების დროს და ადგილს (საჭიროების შემთხვევაში);
6. მენტორი ინსტრუქტორი ატარებს პროფესიული სტუდენტის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, შესრულების კრიტერიუმების მტკიცებულებათა შეგროვების და სწავლის შედეგების დადასტურების მეთოდების შესახებ ტრენინგს ინსტრუქტორებთან.
7. ინსტრუქტორს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები და კომპეტენციები: კარგად განვითარებული პროფესიული უნარები, ზეპირად და წერილობით აზრის გასაგებად ჩამოყალიბების უნარი, სამუშაოს კოორდინირების უნარი, მონაცემთა შეგროვების, უნარი, ეფექტური კომუნიკაციის უნარი, კომპიუტერულ საოფისე პროგრამებთან მუშაობის უნარი, ელექტრონული ფოსტის გამოყენების უნარი; კონფლიქტურ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში სწრაფი და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი.

მუხლი 34. კოლეჯის ინფრასტრუქტურაზე, მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა

კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან, შეუზღუდავი წვდომა ჰქონდეთ და ისარგებლონ კოლეჯის სრული ინფრასტრუქტურით, კოლეჯის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით, ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის სპეციალურად გამოყოფილი, შესაბამისად აღჭურვილი სივრცეებით, აღნიშნული წვდომა შეუზღუდავადხორციელდება კოლეჯის სამუშაო დროს და დასაშვებია მათი გამოყენება, ადმინისტრაციასთან წერილობითი შეთანხმებით უქმე და დასვენების დღეებში.